საჭიროა აზრთა ჭიდილი ხელისუფლებასთან?

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS, მთავარი რედაქტორი

დემოკრატიული ინსტიტუტები დღეს არაერთი წინააღმდეგობრივი გამოწვევის წინაშე დგანან: არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი კლება, სოციალური უთანასწორობის ზრდა, ფინანსურ ელიტებს შორის განხეთქილება და მოქალაქეთა მასა, რომელიც სულ უფრო მეტად ემიჯნება ძალაუფლების რეალურ დინამიკას. ასეთ გარემოში მძაფრდება „შფოთვის“ განცდა და, შესაბამისად, იმის საჭიროებაც, რომ დემოკრატიის მოდელი უშუალოდ იყოს მონაწილეობითი, ვიდრე წარმომადგენლობითი. ინტერნეტისა და სოციალური მედიის მხარდაჭერით, თითქოს უკვე მოქმედებს „დემოკრატია რეალურ დროში“ და მოქალაქეებიც თავს მუდმივად იქ მყოფებად გრძნობენ; მაგრამ რა სახის მონაწილეობა იქმნება სინამდვილეში? განა ეს არ შექმნის ახალ ილუზიებს იმის შესახებ, რომ ის იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ერთპიროვნული მმართველი? დიდი ალბათობით, უარი არ უნდა ითქვას ყველა იმ გარემოებაზე, რაშიც ადამიანმა უშუალოდ უნდა მიიღოს მონაწილეობა: დაწყებული საკუთარი სახლიდან, რაიონიდან, თავისი შვილების სკოლიდან, თავისი ეკლესიიდან... *I care*-ს (მე ვზრუნავ) პრინციპით. ამრიგად, მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელი, სწორედ მცირე არჩევანის გამო, გამოსავალია წარმომადგენლობით დემოკრატიასთან შედარებით, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც სატყუარა, „აზრის სიელმე“, ფიქტიური ერთიანობა, რომელიც ინდივიდს აქტიურ პოლიტიკურ მონაწილეობაში უშლის ხელს. შეიძლება საკუთარი ინტერესების დაცვა ხალხის წარმომადგენლებს მიანდოთ, მაგრამ საკუთარი მოსაზრებების - არასდროს; ძალაუფლება ვერ „გასხვისდება“, რადგან ის ვლინდება ინდივიდებს შორის ურთიერთობაში, „ხმათა უმრავლესობით“, რომლებიც ქმედებითა და საუბრებით გამოხატავენ თავიანთ უნიკალურობას, თანასწორობასა და განსხვავებულობას, რაც უპირისპირდება გულგრილობისა და უნდობლობის იმ ნაკადს, რასაც შეიძლება წააწყდნენ თანამედროვე მასები (შდრ. ჰანა არენდტი, გერმანელი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური თეორეტიკოსი).

წარმომადგენლობითობა არა მხოლოდ არა-

საკმარისია სოციალური ცხოვრების სირთულის გამოსახატავად, არამედ ზოგჯერ უსამართლოცაა, რადგან მას პლურალიზმის უარყოფაც კი შეუძლია. რა მოხდება მაშინ, თუკი ხალხის წარმომადგენლები, კონკრეტულ სიტუაციებში, ხალხისგან მიღებულ ძალაუფლებას საკუთრებად, უცილობელ და უდავო რეალობად აღიქვამენ? განა ეს არ გადაიქცევა დომინანტურ ძალად? საკითხი ეხება არა მხოლოდ საკანონმდებლო ქმედებას, არამედ სოციალური კონფლიქტების მართვის წესსაც; როდესაც კონფლიქტი განიხილება როგორც შემაწუხებელი ფაქტორი, რომლის აღმოფხვრა ან უგულებელყოფაა საჭირო, და არა როგორც რეალობა, რომელიც საჭიროებს მოსმენას, ძალაუფლება უბრალოდ იწყებს საკუთარი თავის დამკვიდრებას. იგივე ტენდენცია ვლინდება განსხვავებული აზრის მართვისას, მაგალითად, საუნივერსიტეტო გარემოში. ხოლო როდესაც ინსტიტუციები რეაგირებენ გაღიზიანებით, სარკაზმით ან საერთოდ არ პასუხობენ სტუდენტებს, რომლებიც ახსნა-განმარტებას მოითხოვენ, გზავნილი მკაფიო და ნათელია: ჩვენ არ გვაინტერესებს თქვენი არგუმენტები.

ნამდვილი დემოკრატიის დროს კითხვები არ უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლებისათვის დაბრკოლებას, როგორც ირლანდიელი ფილოსოფოსი და პოლიტიკური თეორეტიკოსი ფილიპ ნოელ პეტიტი შეგვახსენებს, პირიქით, ეს მისი ლეგიტიმურობის ერთ-ერთი პირობაა. დაპირისპირების ატანის სირთულე კომუნიკაციის სტილშიც ვლინდება: მრგვალი მაგიდების, პრესკონფერენციებისა და ჟურნალისტებთან ან ოპოზიციასთან პირდაპირი დაპირისპირების თავიდან აცილება მხოლოდ სტილის საკითხი როდია! რადგან დემოკრატიული თვალთახედვიდან გამომდინარე, თუკი სახალხო თანხმობა უდევს საფუძვლად მთავრობაში ხელისუფლების ლეგიტიმურობას, ეს მოითხოვს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი, არამედ, უპირველესად, მონაწილეობითი პრინციპით იყოს უზრუნველყოფილი მისი საპროტესტო გამოხატვის თავისუფლება.

პარლამენტი, პრესა, სასამართლო სისტემა, შუამავალი ორგანოები, უნივერსიტეტები, ქუჩები (ტროტუარები) არ წარმოადგენს დაბრკოლებას მთავრობის ქმედებისათვის, არამედ ესაა ადგილი, სადაც ხელისუფლებაში მყოფებს დიალოგისკენ, რეაგირებისა და პასუხისმგებლობის აღებისაკენ მოუწოდებენ. როდესაც ეს სივრცეები შეზღუდულია ან უგულებელყოფილია გადაუდებლობის, გამარტივების, განვითარების ან მმართველობის სახელით, დემოკრატია მყიფე ხდება. ამიტომ, თავისუფლება არ შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც პოლიტიკის „საშუალება“, არამედ იგი წარმოადგენს „ნამდვილ მიზეზს, რის გამოც ადამიანები იღვწიან ამა თუ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციაში; ელემენტს, რომლის გარეშეც თავად პოლიტიკური ცხოვრება აზრს მოკლებული იქნებოდა“. „პოლიტიკა და თავისუფლება იდენტურია!“ თავისუფლება ნიშნავს სხვებთან თანასწორ მდგომარეობაში ყოფნას, როგორც მოქალაქე მოქალაქეთა შორის, ცხოვრებას სირცხვილის გარეშე და ერთმანეთისათვის თვალის გასწორებას ყოველგვარი შიშის გარეშე. თავისუფლების არსი არ გულისხმობს ჩაურევლობას, არამედ გამორიცხავს თვითნებურ ჩარევას, ცალკეულ მოქალაქეებზე თვითნებურ ბატონობას. სწორედ ამ არამდგრად ზღვარზე იკვეთება დღეს დემოკრატიული სულის მომავალი.

სულიერი წრთვნანი

უფროსთა და ახალგაზრდათათვის

წეროვანის შეხვედრების სახლი

2026 წლის 20-22 მარტი

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

„ქრისტე მოსასხამის ნაჭრით ხელში და გულში“

მედიტაციები ელია წინასწარმეტყველის ირგვლივ

ინფორმაცია და ჩაწერა: 597 11 38 25, ქ. ლალი

ლ̂თინ კათოლიკურ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია

ზამთრის ოლიმპიური თამაშები 2026: შეხვედრის, შერიგებისა და მშვიდობის სივრცე

ამჯერად ზამთრის ოლიმპიადას (6-22 თებერვალი) და პარაოლიმპიადას (6-15 მარტი) მილანი და კორტინა დ'ამპეცო მასპინძლობს. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ეპისტოლეში უწმიდესმა პაპმა აღნიშნა, რომ ძველ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშების დროს საომარი მოქმედებები წყდებოდა, დროებითი ზავი იდებოდა. ერთობლივ თამაშებში მონაწილეობა სიქველისა და სრულყოფის გზად განიხილებოდა. სპორტისადმი ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ძმური ერთობის განმტკიცებასა და საყოველთაო კეთილდღეობას. დღეს მშვიდობას მოწყურებულ მსოფლიოს სჭირდება ინსტრუმენტები, რომლებიც დაგვეხმარება ისეთი მოვლენების დაძლევაში, როგორიცაა ძალის დემონსტრაცია, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და სამართლის უზენაესობის უგულებელყოფა. ლეონ XIV-მ ხაზი გაუსვა სპორტის კომერციალიზაციის, „რეზულტატულობის დიქტატურის" და ფანატიზმის საფრთხეებს. სწორედ ამგვარი მიდგომების შედეგია კორუფცია სპორტში, ისეთი არაჯანსაღი პრაქტიკები, როგორიცაა დოპინგის მიღება და გამიჯნულობა. პაპმა ასევე აღნიშნა, რომ სპორტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მსურველისათვის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის. „სპორტი სანახაობა, შერჩევა და მწვავე კონკურენცია კი არ არის, არამედ სიახლოვე, თანხლება და ერთობლივი მოგზაურობა".

აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ახალგაზრდა წარმომადგენელთა ვიზიტი პაპთან

5 თებერვალს პონტიფექსი შეხვდა სომხეთის, კოპტთა ერიტრეის, მალანკარისა და სირიის ეკლესიების მღვდლებსა და ბერებს. ვიზიტი ორგანიზებული იყო წმიდა საყდრის ქრისტიანული ერთობის ხელშეწყობის დიკასტერიის მიერ. უწმიდესმა პაპმა აღნიშნა, რომ ეკლესიათა შორის არსებული ისტორიული და კულტურული განსხვავებანი ქმნის „ჩვენი საერთო ქრისტიანული მემკვიდრეობის უმშვენიერეს მოზაიკას". ამასთანავე, ლეონ XIV-მ ხაზი გაუსვა ჭეშმარიტი ხილული ერთობისაკენ სვლის აუცილებლობას: „კვლავაც ხელი შევუწყოთ ერთმანეთს, რათა გავიზარდოთ ქრისტეს რწმენაში, ქრისტესი, რომელიც ჩვენი მშვიდობის უმთავრესი წყაროა. ჩვენ სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილება, წეს-ჩვეულებები და სხვადასხვა საზრუნავი გვაქვს. ეს დახშულობის საფრთხეს ქმნის. როცა ცრურწმენებისგან ვთავისუფლდებით, გულებს განვაიარაღებთ, ვიზრდებით სიყვარულში, ვუახლოვდებით და ვუკავშირდებით ერთმანეთს ქრისტეში. თქვენი სტუმრობა კურთხევაა ყველასთვის, ვინც აქ გიმასპინძლათ".

ეკლესიის სოციალური მოძღვრება და მშვიდობის აღმშენებლობა

23 იანვარს ლუქსემბურგში გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით „მშვიდობის აღმშენებლობა ევროპაში: როგორია კათოლიკური სოციალური აზროვნებისა და უნივერსალური ღირებულებების როლი?" კონფერენცია ორგანიზებულია ფონდის Centesimus Annus Pro-Pontifice, ევროკავშირის ქვეყ-

ნების ეპისკოპოსთა კონფერენციების კომისიისა და ლუქსემბურგის რელიგიისა და საზოგადოების სკოლის მიერ. კონფერენციაზე ეკლესიის ლიდერებმა და ევროპის პოლიტიკოსებმა განიხილეს, რა როლის შესრულება შეუძლია ადამიანის ღირსების, თანადგომისა და საყოველთაო სიკეთისათვის ღვაწლის კათოლიკურ პრინციპებს ომით, ჰუმანიტარული კრიზისითა და პოლიტიკური დაპირისპირებებით მოცულ ევროპაში. „უკრაინაში მიმდინარე ომის დარეგულირებისა და ევროპის პოლიტიკური კრიზისის დაძლევისათვის გვჭირდება უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ დიპლომატიაა. თავად უნდა ვიქცეთ მშვიდობის ადამიანებად იქ, სადაც ვცხოვრობთ. სხვაგვარად ჩვენი ღვაწლი ნაყოფს ვერ გამოიღებს“, - აღნიშნა ლუქსემბურგის მთავარეპისკოპოსმა ჟან-კლოდ ჰოლერიკმა. უწმიდესმა პაპმა საგანგებო მიმართვა გაუგზავნა კონფერენციის მონაწილეებს. „ვერცერთი საზოგადოება, მით უფრო კონტინენტი, ვერ იცხოვრებს მშვიდობასა და კეთილდღეობაში, თუკი მას არ ექნება საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებანი, რომლებიც ამ საზოგადოების ნორმებსა და ღირებულებებს

განსაზღვრავს. კათოლიკე ეკლესიის სოციალურ მოძღვრებას ბევრის მოცემა შეუძლია მშვიდობიანი თანაცხოვრების მოდელის დასახვის საქმეში“.

მინეაპოლისის მთავარეპისკოპოსი ქალაქში მომხდარი ტრაგედიის შესახებ

იანვარში, მინეაპოლისში ხისტი საემიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციების დროს, აშშ-ს საემიგრაციო პოლიციის მიერ მოკლულია ორი სამოქალაქო პირი, აშშ-ს მოქალაქეები ალექს პრეტი და რენე გუდი. სენტ-პოლისა და მინეაპოლისის მთავარეპისკოპოსმა ბერნარდ ენტონი ჰებდამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „კიდევ ერთი სიცოცხლე დავკარგეთ და საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უფლის მშვიდობა დავიბრუნოთ? ვერ დავიმკვიდრებთ მშვიდობას მანამ, სანამ გულებს სიძულვილისგან არ გავათავისუფლებთ. ეს ერთნაირად ეხება ჩვენს უსაბუთო მეზობლებსაც, ჩვენს მოქალაქეებსაც და იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენი კანონების დაცვისთვის მეთვალყურეობა ეკისრებათ“. მინეაპოლისის წმიდა მარიამის ბაზილიკაში მსხვერპლთა მოსახსენიებელი წირვა აღევლინა. „გარშემო შიშისა და შფოთვის ატმოსფერო სუფევს. განსაკუთრებულად ვშიშობთ ჩვენი დებისა და ძმების, ემიგრანტების გამო“, - აღნიშნა ადგილობრივი სამრევლოს მღვდელმა, მამა დენიელ გრიფიტმა სააგენტო Vatican News-სთან საუბრისას.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში საზეიმო წირვა ქართულ ენაზე აღევლინა

ყოველი წლის 11 თებერვალს სტამბოლის ქარველ კათოლიკეთა სავანესა და მის კედლებში არსებულ ლურდის ღვთისმშობლის ტაძარს საქართველოდან კათოლიკეები სტუმრობენ და ლოცვითა და წირვით აღნიშნავენ ტაძრის დღესასწაულს. წელს სამი მღვდელი და საქართველოს სხვადასხვა სამრევლოს ცხრა წევრი სპეციალურად ამ დღისთვის გაემგზავრა სტამბოლს. სადღესასწაულო წმიდა წირვა აღავლინა მამა კონსტანტინე აკოფაშვილმა, თანამწირველები იყვნენ მამა ბექა ჩილინგარაშვილი და მამა დარიუშ კომადოვსკი.

ლიტურგიის დაწყებამდე, მოძღვრებმა და მრევლის წევრებმა ,,სავარდი" ილოცეს. ლოცვები და ლიტურგია, ტრადიციულად, ქართულ ენაზე შესრულდა. ლიტურგიაში, საქართველოდან ჩასულ მორწმუნეებთან ერთად, პავლე ზაზაძეების ოჯახის წევრებიც მონაწილეობდნენ. ეს არის ოჯახი, რომელიც უკვე მრავალი წელია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეს უფრთხილდება, უვლის და იცავს. ლიტურგიის შემდეგ ზაზაძეების ოჯახმა საქართველოდან ჩასულ სტუმრებს უმასპინძლა და სავანეში არსებული ბიბლიოთეკა დაათვალიერებინა.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე 1861 წელს აშენდა აბატ პეტრე ხარისჭირაშვილის ძალისხმევით. წლების განმავლობაში იგი არა მხოლოდ რელიგიურ საკულტო ნაგებობას, არამედ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და ქართული კულტურის კერას წარმოადგენდა.

Catholic.ge

ათი შეკითხვა საიდუმლოთა და მადლის შესახებ

1. რა არის საიდუმლო?

საიდუმლო არის გარეგნული გამოხატულება, ხელშესახები ნიშანი, — მისაწვდომი ადამიანის გრძნობებისთვის, — დაწესებული იესო ქრისტეს მიერ, მორწმუნისათვის მადლის მინიჭების მიზნით. საიდუმლონი არის მთავარი გზა, რომლითაც იესო ადამიანებს უზიარებს თავის ცხოვრებას.

ნათლობისას, გარეგნული ნიშანი არის წყალი, რომელიც, სამების სახელით, თავზე ეღვრება მორწმუნეს.

ზიარებისას, გარეგნული ნიშანი არის პური და ღვინო, რომლებიც გადაიქცევა იესოს ხორცად და სისხლად (და მოიცავს მის სულს, მის ღმრთაებრიობას), იესოს მიერ დადგენილი სიტყვების წარმოთქმისას.

მირონცხებისას, გარეგნული ნიშანია ზეთი; როდესაც ზეთი შუბლზე აღიბეჭდება, კურთხევის განსაკუთრებული ლოცვის მეშვეობით, მორწმუნეს ამ დროს ენიჭება სული წმიდა.

მღვდლად კურთხევისას, საიდუმლო გამოიხატება ეპისკოპოსის მიერ მამაკაცის თავზე ხელების დადებით, მისთვის მირონის ცხებასთან ერთად.

ქორწინებისას, ნიშნობრივია სიტყვიერი აღთქმის გაცვლა მამაკაცსა და ქალს შორის, ხოლო ეს წარმოთქმული სიტყვები წყვილს აქორწინებს.

სნეულთა ზეთისცხებისას, გამოიყენება ზეთი, რომელიც ავადმყოფს შუბლსა და ხელისგულებზე წაესმება.

დაბოლოს, მონანიების დროს, მონანიე მორწმუნე აღიარებს საკუთარ ცოდვებს, ხოლო მღვდლის მიერ წარმოთქმულ მიტევების სიტყვებს მოჰყვება პატიება.

იმისათვის, რათა საიდუმლონი კანონიერად აღსრულდეს, უნდა არსებობდეს ნივთიერის, გამოხატულებისა და განზრახვის ერთიანობა.

საიდუმლოს ნივთიერებაა მღვდელმსახურის მიერ გამოყენებული საგნები და წარმოთქმული სიტყვები. საიდუმლოს გამოხატულებაა მღვდელმსახურის გარეგნული მოქმედებანი, როცა იგი აღასრულებს საიდუმლოს. მღვდელმსახურის განზრახვა უნდა იყოს, გააკეთოს ის, რასაც ეკლესია აკეთებს.

იმისათვის, რათა კანონიერად აღსრულდეს მირონცხება, ზიარება, მონანიება და სნეულთა ზეთისცხება, საჭიროა იყოს მღვდელი, რომელსაც ეპისკოპოსისაგან აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, აღასრულოს ეს საიდუმლონი.

ქორწინების საიდუმლოს აღსრულებისას, ქორწინდება წყვილი — ორი ადამიანი, რაც ხდება კანონიერად ხელდასხმული დიაკვნის, მღვდლის ან ეპისკოპოსის წინაშე (დიაკონს ან მღვდელს, ამ შემთხვევისას, უნდა ჰქონდეს სათანადო მინდობილობა ეპისკოპოსისაგან).

მღვდლად ხელდასხმის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ეპისკოპოსს.

ნათლობას, ჩვეულებრივ, აღასრულებს დიაკონი, მღვდელი ან ეპისკოპოსი. თუმცა, საგანგებო, განსაკუთრებული შემთხვევისას, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნათლობის აღსრულება, თუკი იგი იმოქმედებს ეკლესიის განზრახვის კვალობაზე, სამების სახელის წარმოთქმითა და, იმავდროულად, თავზე წყლის დასხმით.

ეპისკოპოსს აქვს უფლებამოსილება, აღასრულოს შვიდივე საიდუმლო.

საიდუმლოთა მიზანია მორწმუნეთა განწმედა ცხოვრებაში. ქრისტიანისათვის ცხოვრება მიჩნეულია მომლოცველობად, რომელსაც აქვს კონკრეტული დასაწყისი და კონკრეტული დასასრული. კათოლიკისათვის სულიერი ცხოვრება იწყება ნათლობით და, იდეალური შემთხვევისას, მწვერვალს აღწევს სამოთხეში, — ახლოს თავად პირველად საიდუმლოსთან, თავად ქრისტესთან. საიდუმლონი ასაზრდოებს მორწმუნეს მისი ამ მსვლელობისას, რათა მას არ დაებნეს გზა.

შეადგინა მერაბ ღაღანიძემ



ღმერთის სახელი - ნაწილი მეორე

მამა პიერ დიუმულენი

დ. - ვოკალიზაციის საკითხი

გამოსვლის წიგნის მე-3 თავში ღმერთი ევლინება მოსეს დაუწველ მაყვლოვანში და უცხადებს თავის ღმრთაებრივ სახელს, ხოლო შემდგომ, საკრებულო კარავში საუბრისას, ეუბნება მას: *„...წარმოვთქვამ უფლის (YHWH-ს) სახელს შენს წინაშე...“* (გამ. 33, 19). წმიდა სახელი YHWH (ტეტრაგრამატონი: 4 ასო; იაჰვე), მცნების თანახმად, არასდროს წარმოითქმებოდა - *„არ წარმოთქვა უფლის, შენი ღმერთის, სახელი ამაოდ...“* (გამ. 20, 7), ხოლო კითხვის დროს ჩანაცვლებული იყო სახელით „უფალი“, ებრაულად „ადონაი“. წმიდა ტეტრაგრამატონს (YHWH), თანხმოვნების შეცვლის გარეშე, ამატებდნენ „ადონაის“ ხმოვანთა ნიშნებს. უნდა აღინიშნოს, რომ ებრაულ ანბანში ხმოვანთა ასონიშნები არ არსებობს. თანაქის, ებრაული ბიბლიის, ყველა ტექსტი არის კონსონანტური, ანუ გადმოცემული მხოლოდ თანხმოვნებით. გახმოვანების შემოღება წერტილებისა და ტირეების სახით, ე.წ. მასორა, VII საუკუნიდან იწყება. იმ დროისთვის ივრითი (ებრაული ენა) ცოცხალი ენა აღარ იყო, რაც ართულებდა წმიდა ტექსტების კითხვას. XV საუკუნეში, უმეცრების გამო, ადამიანებმა დაიწყეს არასწორად წარმოთქმა ორი სხვადასხვა სიტყვის თანხმოვნებისა და ხმოვნების შერწყმით - „იეჰოვა“. დღესაც ღმერთის, როგორც „იეჰოვას“ მოხსენიება შეცდომაა და ებრაული ენის არცოდნის ნიშანია. გამოთქმა უნდა იყოს „იაჰვე“, „იაჰუ“ ან „იაჰოუ“, რაც დასტურდება დაბოლოებებით იმ სახელებისა, რომლებიც შეიცავენ სიტყვას „ღმერთი“: ხიზკიაჰუ, ელიაჰუ და სხვ. ღმერთის სახელი ანალოგიურად მოყვანილია კლიმენტი ალექსანდრიელისა და ორიგენეს მიერ შედგენილი ებრაული ტექსტების ძველ ბერძნულ ტრანსკრიფციებში.

ე. სახელის მნიშვნელობა იერუსალიმის ბიბლიის მიხედვით (გამოსვლა 3, 13 - შენიშვნა k)

1. მცდელობები იყო ამ სახელის ახსნისა ებრაულის გარდა სხვა ენებით, ან ებრაული სიტყვების სხვადასხვა ფუძით. უწინარესად, უნდა იქნეს განხილული ზმნის „ყოფნა“ არქაული ფორმა. ზოგიერთი აღიარებს ამ ზმნის ე.წ. „ფაქტივურ“ (fæktətɪv) ფორმას: „ის იწვევს არსებობას“, „ის ქმნის“. დიდი ალბათობით,

ეს უფრო მარტივი ფორმაა და ნიშნავს - „ის არის“.

2. რაც შეეხება ინტერპრეტაციას, ეს სიტყვა სრულად განმარტებულია მე-3 თავის მე-14 მუხლში: „*და უთხრა ღმერთმა მოსეს: „მე ვარ, რომელიც ვარ“. და თქვა: „ასე უთხარი ისრაელის ძეთ: „მე ვარმა მომავლინა-თქო თქვენთან“.* ღმერთს, საკუთარ თავზე საუბრისას, შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ პირველი პირის ფორმა: „მე ვარ“.

3. თეოლოგიური მნიშვნელობა

როდესაც მოსე ეკითხება: *„...მეტყვიან: 'რა არის მისი სახელი?' რა ვუთხრა მათ?“* (გამ. 3, 13), ღმერთი პასუხობს: *„მე ვარ, რომელიც ვარ“* (ებრაულ ორიგინალში: אהיה אשר אהיה – ehie aSer ehie). ეს შეიძლება ითარგმნოს როგორც: „ვიქნები ის, ვინც ვიქნები“, რაც გამოხატავს მის დინამიურ, ცოცხალ და ერთგულ მყოფობას. იაჰვე არის *„ის, ვინც არის, ვინც იყო, და ვინც მოდის“* (გამოცხ. 1,8). ღმერთის სახელი არ არის ჩვენი მფლობელობის ობიექტი, არამედ საიდუმლოა და მოწოდება ნდობისკენ. ღმერთი ერთადერთია, რომელიც ჭეშმარიტად არსებობს. ეს ნიშნავს, რომ ის ტრანსცენდენტულია და კაცობრიობისთვის საიდუმლოდ რჩება, და ასევე, რომ ის მოქმედებს თავისი ხალხის ისტორიასა და კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც ის მიზნისკენ მიმართავს. ღმერთის სახელი მიგვითითებს მის თანამყოფობაზე, ერთგულებასა და ცოცხალ ურთიერთობაზე თავის ერთან. ეს არის არა სტატიკური განსაზღვრა, არამედ ურთიერთობის გზა. მის სახელს ამაოდ ვერ წარმოთქვამენ (იხ. ათი მცნება - გამ. 20, 7). იუდაიზმში მას ანაცვლებენ სიტყვებით „ადონაი“ (უფალი) ან „ჰა-შემ“ (სახელი). ქრისტიანები ამ სახელს აღიქვამენ იესოს გამოცხადების შუქზე: ის არის ხორცშესხმული სახელი - ღმრთის მყოფობა ჩვენ შორის. როგორიც არ უნდა იყოს მისი სხელის ფონეტიკური გამოთქმა, არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ქრისტიანმა შეიძლება არ გამოიყენოს ეს სახელი. ერთი მხრივ, ებრაული სამყაროს პატივისცემისა და ეკლესიის ტრადიციის ერთგულების გამო, რომელიც ლიტურგიაში მის გამოყენებას თავს არიდებს. მეორე მხრივ, სახარების ერთგულების გამო, რადგან იესო არასდროს მოიხსენიებდა ღმერთს სხვა სახელით, გარდა „მამისა“. ღმერთი არის „ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, მამა“. მხოლოდ ძის მეშვეობით შევძლებთ ჩვენ მამასთან მისვლას, სულიწმიდაში. ბავშვები მშობლებს სახელით არ მიმართავენ, ისინი ყვირიან: „აბბა, მამიკო, მამა“. ღმერთისთვის რაიმე სახელის მინიჭება ნიშნავს, რომ მას უცხოდ ვაქცევთ, ისეთ ვინმედ, რომლის შეზღუდვასაც გარედან ვცდილობთ. სწორედ ამიტომ ღმერთის სახელის გამოყენების თავიდან

ტრადიციამ ამ დაუწველ ბუჩქში მარიამის უბიწო ჩასახვის წინასახე დაინახა და სწორედ აქედან მომდინარეობს ღვთისმშობლის მრავალი ხატი, რომლებიც ამ სახელს ატარებენ...

აცილებას თეოლოგიური და მისტიკური მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ღმერთს ვიცნობთ მხოლოდ და მხოლოდ მას და ჩვენ შორის დამყარებული ურთიერთობის წყალობით.

სახელისთვის მინიჭებული მნიშვნელობა არ უნდა ჩრდილავდეს ცეცხლმოკიდებული ბუჩქის ფენომენს. ღმერთი იქ თავს ცეცხლის სახით ავლენს. ის მაყვლოვანია, რომელიც „იწვის და არ იწვება“ (იხ. გამ. 3, 2). ამ პარადოქსული ხატის წყალობით ის ერთდროულად გვევლინება როგორც ენერგია და როგორც მარადიული მყოფობა, რეალობა, რომელიც თავს ავლენს მოუხელთებელ დინამიზმში. ის თავად ენერგიაა, რომელსაც არსებობისთვის არაფერი სჭირდება, ენერგია, რომელიც საკუთარი თავის წყაროცაა და მას ძალუძს გააცოცხლოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს. ის თავისუფლება და ძალაა, რომელიც ანათებს, სიბრძნე, რომელიც განწმედს და ათბობს. და მაინც, ის რჩება „პიროვნებად“, რომელიც შედის ჩვენთან ურთიერთობაში.

დევიდ კლეიტონ ჰენრი: სილამაზის ძიებაში

ყველა წმიდანის დღესასწაულზე (1-ლი ნოემბერი) წმიდანთა ფორმაში გამოწყობილი ბავშვების ფოტოებს წავაწყდი უფროს მამაკაცთან, სავარაუდოდ, მათივე მამასთან ერთად. დავინტერესდი, მინდოდა გამეგო, ვინ იყვნენ ეს ბავშვები და მამაკაცი და რატომ გადაიღეს ასეთი ფოტო; როგორც შევიტყვე, სამივე ამერიკელი მსახიობის, დევიდ კლეიტონ ჰენრის შვილები იყვნენ. სურვილი გამიჩნდა მეტი გამეგო და მამის შესახებ ინფორმაციის მოძიებას შევუდექი...

დევიდ კლეიტონ ჰენრი (David Clayton Henrie) 1989 წელს დაიბადა ლოს-ანჯელესში. 2017 წელს დაქორწინდა მარია კეჰილზე, ბავშვობის მეგობარზე. კინოკარიერა თავდაპირველად დაიწყო, როგორც მსახიობმა, შემდეგ კი განაგრძო, როგორც პროდიუსერმა და რეჟისორმა, პირად ცხოვრებას პროფესიული გზაც შეუთავსა და ამან კათოლიკური რწმენის ხელახალ აღმოჩენამდე მიიყვანა, იმდენად, რომ თავი „კათოლიციზმზე მოქცეულად“ გამოაცხადა. როგორც თავად ამბობს, რწმენამ უჩვენა გზა; იგრძნო, რომ ლოცვის, საიდუმლოებებისა და ყოველდღიური ლოცვების გარეშე, როგორიცაა სავარდი, სულიერი ცხოვრება ნელდება. ყოველივე ამან უჩვენა, რომ პროფესიულ საქმიანობაში ისეთი პროექტები უნდა განეხორციელებინა, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის ღირსებას და აძლიერებენ ქრისტიანულ ღირებულებებს. როგორც ჯვარდაწერილი, სამი შვილის მამა, აცხადებს, რომ მისი მხატვრული არჩევანი უნდა შეესაბამებოდეს მკაფიოდ გამოხატულ კრიტერიუმებს, რათა მის ოჯახსა და საზოგადოებას აჩვენოს რწმენასა და პროფესიას შორის თანმიმდევრულობა; იგი აქტიურად მონაწილეობს სიცოცხლის დაცვისათვის გამართულ დემონსტრაციებში.

დევიდმა მთავარი როლი შეასრულა 2015 წელს ალეხანდრო გომეს მონტევერდეს მიერ გადაღებულ ფილმში „პატარა ბიჭი“ (Little Boy). პეპერ ფლინტ ბასბი (Pepper Flynt Busbee) მომხიბვლელი რვა წლის ბიჭია, რომელსაც სიმაღლის გამო მეტსახელად „პატარა ბიჭი“ შეარქვეს. ის კათოლიკეა და, მეორე მსოფლიო ომის დროს, მშობლებთან და უფროს ძმასთან ერთად მშვიდად ცხოვრობს კალიფორნიის პატარა ზღვისპირა ქალაქში. ერთ დღეს მამამისს, რომელსაც ის ძალიან უყვარს, იაპონელების მიერ პერლ-ჰარბორზე თავდასხმის (1941) შემდეგ, ომში წასვლა მოუწევს; გარკვეული დროის მერე დედამისს ატყობინებენ, რომ ქმარი დაიკარგა. პატარა ბიჭი სიმშვიდეს ვერ პოულობს. ქალაქის მღვდელი მას იესოს ნათქვამს შეახსენებს, რომ მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაც კი საკმარისი იქნებოდა მთების გადასაადგილებლად. მაგრამ ასეთი რწმენის შესაძენად ადამიანმა მოწყალების საქმეები უნდა შეასრულოს. პირველი, როგორც მას მღვდელი კარნახობს, ამ ქალაქში მცხოვრებ ერთადერთ იაპონელთან, ყველასათვის საძულველ კაცთან - ჰაშიმოტოსთან მეგობრობის დამყარებაა... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „თუ გსურთ სრულყოფილი იყოთ და გქონდეთ რწმენა, რომ მთები გადაადგილოთ და მამა დაიბრუნოთ, გიყვარდეთ თქვენი მტრები“. თუკი მდოგვის მარცვლისოდენა რწმენას მთების გადაადგილება ძალუძს, შეძლებს კი რვა წლის ბიჭუნა მამის შინ დაბრუნებას ომიდან? საბოლოო ჯამში, სწორედ ეს არის ფილმის გზავნილი, კითხვაში განსჯისათვის: „რისი გწამთ? საკუთარი თავის თუ იმაზე უფრო დიდის, ვიდრე შენ ხარ?“ - იტყვის ჰენრი ინტერვიუში. უფროსი ძმის როლში იგი სკეპტიკურად უყურებს რწმენას და ასეთივე იყო მისი პირადი დამოკიდებულებაც. სწორედ ფილმ „პატარა ბიჭის“ გადაღებების დროს

ცამეტი პაპის სიტყვებსა და ქმედებებში გამოხატული სამშვიდობო სურვილები

პავლე VI (1963-1978) - პავლე VI-მ თავისი სახელი მნიშვნელოვანი ჟესტებითა და სიტყვებით დაუკავშირა მშვიდობას. სამშვიდობო დოქტრინაში მან ნამდვილი ეპისტემოლოგიური რევოლუცია მოახდინა, როდესაც სოციალური მორალის სფეროში მშვიდობის ორმაგი ბუნება გამოკვეთა: „შინაგანი მშვიდობა“ და „გარეგანი მშვიდობა“. მშვიდობის თეოლოგიის ევოლუციის შესასწავლად, გარდა 1965 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მისი მიმართვისა, როდესაც მან, როგორც პირველმა პაპმა, რომელიც ამ ასამბლეის წინაშე გამოვიდა, წამოიძახა „აღარასდროს ომი“, შეგვიძლია გავიხსენოთ მისი 1967 წლის რადიომიმართვა: „ხალხებს შორის მშვიდობისაკენ მიმავალი გზა „გულის სიმშვიდეზე“ გადის“. პავლე VI-ს სჯეროდა, რომ მშვიდობა სულიერი ფესვით იკვებება; ეს არის ძღვენი, რომელსაც ადამიანი იღებს, მისი დამყარება და შენარჩუნება მას ძალუძს, ვინც გულის სიმშვიდეს პოულობს. პავლე VI მშვიდობის ღირებულების მტკიცე დამცველი გახლდათ, თვით არასტაბილურ დროსაც: „ეს უზენაესი სიკეთეა ჟამთასვლაში მცხოვრები კაცობრიობისათვის; მაგრამ ის მყიფეა, რთული და დაუდგრომელი ფაქტორების შედეგი, რომლებშიც ადამიანის თავისუფალი და პასუხისმგებლიანი ნება მუდმივად მოქმედებს. ამიტომ მშვიდობა არასდროს არის სრულიად სტაბილური და უსაფრთხო; ის მუდმივად ითხოვს გადახედვას და განახლებას. იგი სწრაფად სუსტდება და ირღვევა, თუკი

მუდმივად არ ეყრდნობა ჭეშმარიტების იმ პრინციპებს, რომლებსაც მხოლოდ მისი წარმოქმნა და შენარჩუნება შეუძლიათ“ (გენერალური აუდიენცია, 1964 წლის 26 აგვისტო). აქაც საქმე მხოლოდ სიტყვებს როდი ეხებოდა, არამედ მუდმივ მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა საფრთხის ქვეშ მყოფი მშვიდობის დაცვას, განსაკუთრებით, მუდმივი დიპლომატიური ძალისხმევით (ვაშინგტონის არქივებში ახლახან გამოვლენილი), რათა ვიეტნამის ომი (1955-1975) დასრულებულიყო. მის პონტიფიკატს ვუმადლით „სამშვიდობო განათლების“ დასაწყისს, მშვიდობის მსოფლიო დღისადმი (1968-1978) მისი თერთმეტი გზავნილით, რომელიც მან დააფუძნა.

იოანე პავლე I - (1978 წლის 26 აგვისტოდან 28 სექტემბრამდე), იგი სულ 33 დღე იმყოფებოდა პაპის ტახტზე; თავისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდში მან შეიმუშავა ექვსპუნქტიანი გეგმა, რომელიც განსაზღვრავდა მის პონტიფიკატს. მეექვსე პუნქტი შეეხებოდა მსოფლიო მშვიდობის ხელშეწყობას.

იოანე პავლე II (1978-2003) - პაპ ლუჩანოს, იმავე იოანე პავლე პირველის, ხანმოკლე მმართველობის შემდეგ, 1978 წლის 16 ოქტომბერს აირჩიეს „პოლონელი პაპი“ იოანე პავლე II. ისტორიკოსთათვის ჯერ კიდევ შესწავლის საგანია მისი დიდი წვლილი მშვიდობის საქმეში, თუმცა აშკარაა მისი დამსახურება 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევაში, რასაც მოჰყვა საბჭოთა იმპერიის კრიზისი. იოანე პავლე II-მ თავისი პონტიფიკატი მშვიდობისადმი ერთგულებას დაუკავშირა და მას „ყველასათვის ღია მოედანი“ და „საყოველთაო პასუხისმგებლობა“ უწოდა. ის ხაზგასმით აღნიშნავდა,

რომ მშვიდობა მოითხოვს სიმართლეს, სამართლიანობას, სიყვარულსა და თავისუფლებას, და რომ ამ ყოველივეს მიღწევა შეუძლებელია ადამიანის ღირსების პატივისცემისა და განიარაღების გარეშე. მის მემკვიდრეობას ლაიტმოტივად გასდევს ხატოვანი მოწოდება „აღარასოდეს ომი“, რომელიც კიდევ უფრო მწვავედ გაისმის მეორე მსოფლიო ომის დროს მისი პირადი გამოცდილებიდან. იგი იცავდა პრინციპს „მშვიდობა ნებისმიერ ფასად“, შესაძლო ტოტალური ან რელიგიური ომის წინაშეც კი, რასაც ბევრი პოლიტოლოგი წინასწარმეტყველებდა ტყუპ კოშკებზე „ალ-ქაიდას“ თავდასხმის შემდეგ. საკმარისი იქნებოდა, რომ იოანე პავლე II ამ ხაფანგში გაბმულიყო, მთლიანად ისლამს დასხმოდა თავს... მსოფლიო აღმოჩნდებოდა გაყოფილი და რელიგიური ნიშნით გაერთიანებული. მოვლენები ასე არ განვითარდა წინდახედული არჩევანის გამო. თავის ორ ენციკლიკაში Sollicitudo rei socialis (1987) და Centesimus Annus (1991) იოანე პავლე II-მ გამოთქვა მოსაზრებები მშვიდობის შესახებ, მაგრამ სწორედ ასიზში, 1986 წლის 27 ოქტომბერს, საჯაროდ განაცხადა თავისი წინასწარგანჭვრეტილი წინადადება მშვიდობის შესახებ. ქრისტიანები, ებრაელები და მუსლიმები პირველად შეიკრიბნენ, რათა ერთად ეთხოვათ ღმერთისთვის მშვიდობის მადლი. გზავნილი ერთდროულად მარტივიც იყო და ნათელიც: მორწმუნე ადამიანები უნდა ასწავლიდნენ შერიგებას, სოციალური კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას და ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრების შესაძლებლობას. ეს არის მორწმუნეთა ხელში „იარაღი“ მშვიდობის დასამყარებლად. 1990 წელს, ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ (Desert storm) დაწყების წინადღით,

ვოიტილამ შეტყობინება გაუგზავნა როგორც სადამ ჰუსეინს, ასევე ჯორჯ ბუშ უფროსს, რომელშიც მათ სთხოვდა კონფლიქტის დასრულებას და მოლაპარაკებების დაწყებას. ყოფილ იუგოსლავიაში კონფლიქტის დროსაც, იოანე პავლე II-მ ყველაფერი სცადა მის შესაჩერებლად, როგორც, მაგალითად, სპარსეთის ყურის მეორე ომის დროს (2003-2011). „ტოტალური ომის“ დადგომის წინაშე ყოველმხრივ დაუშვებელია ომი და ეს ყოველთვის შინაგანი ბოროტებაა, რაც სცილდება სამართლიანი ომის ტრადიციულ დოქტრინას. ამავდროულად, იოანე პავლე II არა მხოლოდ ეპისტემოლოგიურ, არამედ სემანტიკურ მიზეზთა გამოც მოუწოდებდა, უარი ეთქვათ სიტყვა „ომის“ გამოყენებაზე და ესაუბრათ „შეიარაღებულ კონფლიქტებზე“, რაც შეიძლება გამართლებული იყოს კანონიერი თავდაცვისა და ჰუმანიტარული ჩარევის შემთხვევებში.

ბენედიქტე XVI (2005-2013) - ბენედიქტე XVI-მ კიდევ უფრო გააძლიერა უწინდელი პრაქტიკა და დოქტრინა. მისი პონტიფიკატის დროს, ეკლესიის დიპლომატიური ძალისხმევა მიმართული იყო მშვიდობის შენარჩუნებაზე, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულება. 2008 წლის 18 ოქტომბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვისას, მან მან მხარი დაუჭირა „დაცვის პასუხისმგებლობის“ (The responsibility to protect) იდეას. თუმცა ეკლესია მოვალეა, შეუდგეს ius para bellum (ომის სამართლიან სამზადისს). ეკლესიის სოციალური დოქტრინა მოითხოვს ინვესტიციებს განათლებაში, ეკონომიკურ განვითარებაში, სამართლიან

მმართველობაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და რეგიონული ხელშეკრულებების ხელმოწერის ვალდებულებას. კერძოდ, ის მხარს უჭერს ბირთვული შეიარაღების შემცირების პოლიტიკას და უშიშროების საბჭოს რეფორმას, რომელიც სათანადოდ ითვალისწინებს ცვალებად გეოპოლიტიკურ ბალანსს.

ფრანცისკე (2013-2025) - ამ „ახალ“ სოციალურ და საეკლესიო ვითარებაში პაპმა ფრანცისკემ გან-

საკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მშვიდობის საკითხისადმი, რომელიც ეკლესიის დიდ მისიას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, იგი ეხება პოლიტიკურ საკითხებს, მაგრამ პოლიტიკოსები მისი მთავარი თანამოსაუბრეები არ არიან. პირველ რიგში, პაპმა გააცნობიერა, რომ დღეს პრობლემას უკვე აღარ განიხილავენ „ეროვნულ“ კონტექსტში, როგორც ეს მისი წინამორბედების შემთხვევაში იყო; მაშინაც კი, როდესაც კონფლიქტები შეზღუდული ჩანს, სინამდვილეში ეს გლობალური კონფლიქტებია, რადგან მათგან ყველაზე უმნიშვნელო კონფლიქტებშიც კი ჩართულები არიან იგივე სუბიექტები, რომლებიც მართავენ საერთაშორისო არენას. პაპ ფრანცისკეს გადაწყვეტილება ეხება პრინციპს ,,ქვემოდან ზემოთ“, შუამავალი ორგანოებიდან, ასოციაციებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, პროფკავშირებიდან და ა.შ. მესამე სექტორიდან, სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობისაკენ. სწორედ ამიტომ საუბრობს პაპი სულ უფრო ხშირად მშვიდობის დამყარებაზე იქ, სადაც ძალადობაა. და ამას ლოცვით აკეთებს. მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, სირიაზე თავდასხმის

თავიდან აცილების მოწოდებით, იქცა „მშვიდობის ბომბად“, რომელსაც ყველა კეთილი ნების ადამიანი შეუერთდა. პაპ ფრანცისკეს გამოსვლები მშვიდობის მხარდასაჭერად და ომის დასაგმობად, განსაკუთრებით კი უკრაინაში შეჭრის შემდეგ, იმდენად ხშირი და გადამწყვეტი იყო, რომ მათ დამატებითი ხაზგასმა სულაც არ სჭირდება. თუმცა აუცილებელია გამოვყოთ ზოგიერთი საკვანძო საკითხი. თავისი პონტიფიკატის დასაწყისიდანვე იგი ისწრაფვოდა შეეცნო პლანეტის ტანჯვის საერთო სურათი და ცდილობდა, გამოეყვანა როგორც მორწმუნეები, ასევე დასავლური საზოგადოებრივი აზრი მოჩვენებითი კეთილდღეობით გამოწვეული გულგრილობის მდგომარეობიდან. სწორედ აქ დაიბადა მისი „ლოზუნგი“ იმის შესახებ, რომ მსოფლიო ომი მიმდინარებს დროდადრო და, სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად ივსება ახალი კონფლიქტებით. სწორედ სეულიდან რომში მიმავალ თვითმფრინავში გამართულ პრესკონფერენციაზე პაპმა ფრანცისკემ პირველად ისაუბრა „დროდადრო მიმდინარე მსოფლიო ომზე“. მეორე, რაც ფრანცისკემ გააცნობიერა და გამოთქვა, იყო ტრაგიკული, კერძოდ, ის, რომ კონფლიქტი სწორედ ევროპაში, ქრისტიანულ სამყაროში განვითარდა. ამით აიხსნება ის სირთულე, რასაც პაპი აწყდებოდა მშვიდობის ხელშეწყობაში, ისე რომ არასწორად არ გაეგო ერთ ან მეორე მხარეს. პაპის თქმით, ომის ერთ-ერთი ფორმა წარმოადგენს ადამიანებით ვაჭრობის, სოციალური უსამართლობის და ა.შ. მიზეზს. ამიტომ სწორედ „პერიფერიებში“ უნდა დაისადგუროს მშვიდობამ! კულტურისა და განათლების გზით, სამოქალაქო შერიგების მეშვეობით, ხელი უნდა შეეწყოს ისეთ სამოქალაქო მეგობრობას, როდესაც მეორე თანამოქალაქეა. მშვიდობის საკითხში პაპ ფრანცისკეს დევიზი არის „შერიგება“, ის მიიღწევა როგორც გულმოწყალების მადლით, მიტევებით, რომელიც ისტორიის მიმდინარეობას ცვლის, ასევე, საკუთარი სინდისის ხმის შეგნებული მოსმენით, რაც გვეხმარება პატივი ვცეთ უძველეს პრინციპს: bonum faciendum et male vitandum - ერიდე ბოროტებას და ჰქმენ კეთილი.

ლეონ XIV (2025) - პაპად არჩევისთანავე პაპი ლეონ XIV ხაზს უსვამს მშვიდობის აუცილებლობას, როგორც ერთადერთ გზას შერიგებისა და კონფლიქტის შეწყვეტისა, და მხარს უჭერს „განიარაღებულ და განმაიარაღებელ მშვიდობას“. ის ხაზს უსვამს ლოცვის, დიალოგისა და მშვიდობის ინსტიტუციების შექმნის



მნიშვნელობას და ყველა ქვეყანას მოუწოდებს, მხარი დაუჭირონ ამ საქმეს და დააფასონ ადამიანის ღირსება. მისი შეხედულებით, აღზრდა-განათლება არის იმედის გაღვივებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ჩამოყალიბების ფუნდამენტური ინსტრუმენტი.

რა შეიძლება დავასკვნათ?

შესაძლებელია თუ არა შევაჯამოთ ის შედეგები, რაც მოიტანა მშვიდობის დამყარებისა და ომის შეწყვეტისათვის პაპების ძალისხმევამ? ამ საქმისადმი მათი ერთგულება სრულიად თანმიმდევრული და ცალსახა იყო; სამწუხაროდ, შედეგები ზოგჯერ წინააღმდეგობრივი. გვახსოვს რამდენიმე წარუმატებელი მცდელობა, მაგალითად, ბენედიქტე XV-ის, რომელმაც 1917 წელს დიდ სახელმწიფოებს კონკრეტული სამშვიდობო გეგმა შესთავაზა, რაზედაც მას პასუხიც კი არ მიუღია; ან იოანე პავლე II-ის, რომელმაც თავიდან ვერ აიცილა სპარსეთის ყურწეში ორი ომის დაწყება 1991 და 2004 წლებში, მაშინ როდესაც მშვიდობიანად დაანგრია ბერლინის კედელი. პაპების მიერ წარმოთქმულმა სამშვიდობო სიტყვებმა ბევრ ადამიანს გაუღვიძა სინდისი; მაგალითად, როდესაც იოანე XXIII ხრუშჩოვს დაეხმარა, შეეჩერებინა კუბაში რაკეტების გადამტანი გემების შეყვანა, რითაც თავიდან აიცილა ბირთვული კონფლიქტი. ერთი რამ უდავოა ჩვენთვის, მორწმუნეთათვის: ყველა ეს დიდი მოღვაწე მშვიდობისათვის ლოცულობდა და სხვებსაც მოუწოდებდა მხურვალე ლოცვისაკენ.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
დასასრული, დასაწყისი ,,სიბა“ #2(362)

დაიწყო მან თავის ნაკვალევზე დაბრუნება. ფილმთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე მან ღიად ისაუბრა ამ თემაზე და გაიხსენა მომენტი, როდესაც ნიუ-იორკის კაფეში სცენარი წაიკითხა და ცრემლები ვერ შეიკავა: „მე ყოველთვის მადლიერი ვიქნები „პატარა ბიჭის“, რადგან სწორედ ამ ფილმმა გადაარჩინა ჩემი ცხოვრება, რომელიც მანამდე აგნოსტიციზმის ფაზაში იმყოფებოდა... დამეხმარა მეპოვნა უზენაესი სიკეთე და ჩემს გულში გააღვიძა ბავშვი, დამიბრუნა რწმენა, ჩემი შეხედულებები... ამან მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება“.

გასული წლის დეკემბერში, დევიდ ჰენრიმ გამოაცხადა EWTN Studios-ის მიერ წარმოებული დოკუმენტური ფილმების სერიის „სილამაზის ძიებაში“ გამოსვლის შესახებ, რომელიც 2026 წლის 19 იანვარს დაიწყო. ამ სერიალში ჰენრიმ მოინახულა ვატიკანის, იტალიისა და ესპანეთის მომხიბვლელი და მნიშვნელოვანი ადგილები, სადაც ექსპერტებთან საუბრებისა და ხელოვნების წმინდა ნიმუშების ჭვრეტის გზით, მაყურებელს აჩვენა, თუ როგორ ღრმად არის გადაჯაჭვული ხელოვნება, ისტორია და სულიერება ერთმანთთან კათოლიკურ ტრადიციაში. ამგვარად, თითოეული ეპიზოდი ახლებურად შეგვახედებს იმას, რაც ხშირად თავისთავად მიღებულად მიიჩნევა: ეკლესიები, ხელოვნების ნიმუშები, პეიზაჟები და ტრადიციები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ცოცხალ რწმენაზე ღაღადებენ. ჰენრი ხაზს უსვამს, რომ სილამაზე მხოლოდ ესთეტიკური ინსტრუმენტი როდია, ის შემოქმედის ანარეკლია, „ღვთაებრივის განმსაზღვრელი ენა“, „ღვთაებრივის ანაბეჭდი“.

ამ პროგრამაში ჰენრი გვიზიარებს საკუთარი რწმენის გამოცდილებას, რასაც სილამაზის ძიება კიდევ უფრო ურყევს ხდის. გვიამბობს თუ როგორ გარდასახა ის და მთელი მისი ოჯახი ჭეშმარიტების ძიებამ, იმ ადამიანებთან შეხვედრამ, რომლებიც მას სულიერ ზრდაში დაეხმარნენ და ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი აპოვნინეს, რაც მისი არსებობის ყველა ასპექტის ნამდვილ გამაერთიანებელ პრინციპად იქცა. „მოზარდობის ასაკში უკვე ყველაფერს მივაღწიე... წარმატება და ფული... მთელი მსოფლიო მოვიარე... მაგრამ ლამის ფსკერზე დავეშვი... არადა ყველაფერი მქონდა, რაც ბედნიერებისათვის იყო საჭირო“; მიუხადავად ამისა, სწორედ ამ დროს ჩავარდა დეპრესიაში ცხოვრებისეულ სირთულეთა გამო. „მაგრამ შემდეგ, როდესაც ღმერთმა ხელი გამომიწოდა და მკაფიო ნიშანი მომცა, რომ არსებობს გზა და რომ ჩემი ცხოვრება დიდი შეცდომა არ არის... არსებობს მიზანი, მოწოდება, მოკლედ, ყველაფერმა, რაც წარსულში მაბნევდა, აზრი შეიძინა“. ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს: „მეგობართან ერთად წმიდა მიქაელის მონასტერში წავედი... ეს ის ადგილია, სადაც ნამდვილად შეგიძლია ღმერთი შეიგრძნო... სილამაზე იყო ჩემ თვალწინ: მან ჩემს კარზე დააკაკუნა... ამ განსაკუთრებულმა ადგილმა ჩემს სულში კვალი დატოვა, ხშირად ვბრუნდები იქ ჩემს მეუღლესთან და შვილებთან ერთად, ვინაიდან სწორედ აქ მოვექეცი რწმენად... ერთ-ერთი ულამაზესი მონასტერი შეერთებულ შტატებში... სწორედ აქ ვთქვი პირველად აღსარება“. 2012 წლის 1-ლი იანვარი იყო. ჰენრიმ ასევე გამოთქვა აღფრთოვანება, რომ ამ პროგრამაში სხვებთან ერთად მიეცა შესაძლებლობა ჩაღრმავებოდა სილამაზეს. ახალი პროგრამა მნიშვნელოვან გამოწვევებს ბადებს. თუ ის თავის მიზანს მიაღწევს, დოკუმენტური სერიალი იმ კულტურის აღორძინებასაც შეუწყობს ხელს, რომელიც სილამაზეს შემოქმედის უნივერსალურ ენად აღიარებს. სილამაზე, თავისი მრავალმხრივობით, მხოლოდ ზედაპირულ მორთულობამდე არ უნდა დავიყვანოთ, იგი უნდა გახდეს ზებუნებრივთან მისასვლელი ხიდი, რომელიც ღმერთს შეგვახვედრებს. დოსტოევსკიმ თავის რომანში „იდიოტი“ (1869) თავად მიშკინს ათქმევინა ეს სიტყვები: „სილამაზე გადაარჩენს სამყაროს“.

ასე გავიგე ამ ფოტოს ისტორია. კეთილი სურვილებისა და მადლობის მეტი რაღა დამრჩენია.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

წმიდა ვინჩენცა მარია პოლონი



იტალიელი კათოლიკე მონაზონი ვინჩენცა მარია პოლონი (Vincenza Maria Poloni) დაიბადა 1802 წლის 26 იანვარს, ვერონაში. გაეტანო პოლონისა და მარგარიტა ბიადეგოს თორმეტი შვილიდან ის ყველაზე უმცროსი იყო. იმავე დღეს იგი სანტა მარია ანტიკას ეკლესიაში (La Chiesa di Santa Maria Antica – წმიდა მარიამის ძველი ეკლესია) მონათლეს და სახელად უწოდეს მარია ლუიჯა ფრანჩესკა. მარია ქრისტიანულ გარემოში გაიზარდა და ადრეული ასაკიდანვე გამოავლინა სიყვარული და ზრუნვა ღარიბთა და გაჭირვებულთა მიმართ. მორწმუნე მშობლებმა მას ასწავლეს შრომისმოყვარეობა და მისი სოციალური მდგომარეობის შესაბამისი განათლება მისცეს.

მოგვიანებით მარიამ გაიცნო მღვდელი კარლ შტეები (Karl Steeb - პაპმა პავლე VI-მ იგი 1975 წელს ნეტარად შერაცხა, მას შემდეგ, რაც აღიარა სასწაული, რომელიც მისი შუამდგომლობით მოხდა), რომელიც მისი სულიერი მოძღვარი გახდა და დაეხმარა მოწოდების შეცნობაში. 1836 წელს, ქოლერის საშინელი ეპიდემიის დროს, მარიამ უსაზღვრო ერთგულება გამოავლინა ეგრეთ წოდებულ „გარიყულთა“ განყოფილებაში მყოფ სნეულთა მიმართ, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ზრუნავდა მათზე, რითაც დაამოწმა თავისი მოწოდება, მიეძღვნა ცხოვრება ღატაკთა მსახურებისადმი. მათში ის ქრისტეს ტანჯულ სხეულს ხედავდა.

1848 წლის 10 სექტემბერს, ვერონის ეპისკოპოსის კურთხევით, მარია ლუიჯა ფრანჩესკამ სიღარიბის, უმანკოებისა და მორჩილების სამონაზვნო აღთქმა დადო და სახელად ეწოდა ვინჩენცა მარია. მორჩილება და გონივრულობა მსახურებაში მისი ხასიათის არაჩვეულებრივ სიმტკიცესთან იყო შერწყმული. მარიას მოწოდება „ქრისტეს მსახურება ღარიბთა მეშვეობით“ მის ყველა ქმედებას წარმართავდა. იგი თავის სულიერ დებს ასწავლიდა, რომ გულმოწყალება და ურთიერთსიყვარული უნდა ყოფილიყო საფუძველი მათი მსახურებისა. იესოს უწმიდესი გულისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი ერთგულება მის მისიას აძლიერებდა და შთააგონებდა, რწმენითა და შეუპოვრობით დაეძლია ნებისმიერი სირთულე.

მარიამ, თავის მოძღვართან ერთად, დააარსა სამონასტრო ორდენი ,,ვერონის გულმოწყალების დები“ (Sorelle della Misericordia), რომლის სულიერება წმიდა ვინსენტ დე პოლის სულისკვეთებასა და პრინციპებს ეფუძნებოდა, რაც გამოიხატებოდა გულმოწყალებაში, უბრალოებასა და მორჩილებაში. დები თავს უძღვნიდნენ ღარიბთა მსახურებას, განათლებასა და ახალგაზრდებთან სამწყსო საქმიანობას. ისინი ისწრაფვოდნენ, ახალ ორდენს გაევრცელებინა იესო ქრისტეს გულმოწყალე სიყვარული. პოლონი მიიჩნევდა, რომ ქველმოქმედება ცხოვრებაში უპირატესი უნდა ყოფილიყო. მან მიზნად დაისახა ავადმყოფებისა და ობლების მონახულება, თავის მოვალეობად მიაჩნდა, დახმარებოდა და ენუგეშებინა ისინი, ეჩვენებინა მათთვის ქრისტესმიერი სიყვარული. „ღარიბები ჩვენი ბატონები არიან: უნდა გვიყვარდეს ისინი და ვემსახუროთ მათ ისე, როგორც ვემსახურებოდით თავად იესო ქრისტეს“, - ხშირად აღნიშნავდა იგი. მისი ხელმძღვანელობით ორდენი სწრაფად გაფართოვდა და ვერონაში ქრისტიანული ქველმოქმედების ცენტრად იქცა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ვინჩენცა მარია უკურნებელი სენით დაავადდა. იგი აუტანელი ფიზიკური ტკივილისაგან იტანჯებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ურყევად და სიყვარულით აგრძელებდა ორდენის ხელმძღვანელობას, ბოლომდე უძღვნიდა თავს თავის სულიერ დებსა და

ღარიბებს. ამ ხნის განმავლობაში მან გამოავლინა არაჩვეულებრივი უნარი, მიეღო ტანჯვა, როგორც მონაწილეობა ქრისტეს ვნებაში, და ყველა სირთულე ეკლესიისა და ორდენის საკეთილდღეოდ შეეწირა. იგი მოთმინებისა და ღვთაებრივი განგებულებისადმი ერთგულების მაგალითად დარჩა, განუწყვეტლივ ლოცულობდა და ანუგეშებდა დებს, რომლებიც მას ეხმარებოდნენ. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მან თავის სულიერ დებს მნიშვნელოვანი გზავნილი დაუტოვა: შეენარჩუნებინათ გულმოწყალება, როგორც ორდენის საფუძველი, რითაც უზრუნველყოფდნენ მის მომავალ წარმატებასა და სტაბილურობას. ტკივილის შესამსუბუქებლად ვინჩენცა მარიას ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა მონაზონის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მას ანუგეშებდა მისი სულიერი მოძღვარი, დონ კარლო შტეები, რომელიც ყოველდღე აზიარებდა. ვინჩენცა მარია გარდაიცვალა 1855 წლის 11 ნოემბერს, ვერონაში, 53 წლის ასაკში. დაკრძალეს ვერონის მუნიციპალურ სასაფლაოზე.

პოლონისა და შტეების მიერ დაარსებული კონგრეგაცია ვერონის საზღვრებს მიღმაც გავრცელდა: პორტუგალიაში, ტანზანიასა და სხვა ქვეყნებში. გულმოწყალების დების ორდენი დღესაც აგრძელებს თავის მისიას, ახორციელებს მისი დამფუძნებლის პრინციპებს, გამოხატულს მოყვასისადმი სიყვარულში.

1990 წლის 12 მარტს პოლონის მიენიჭა ტიტული ,,მონა ღვთისა". 2006 წლის 28 აპრილს პაპმა ბენედიქტე XVI-მ იგი ღირსეულად გამოაცხადა, ორი წლის შემდეგ კი ნეტარად იქნა შერაცხული ვერონაში, კარდინალ ანჯელო ამატოს მიერ, პაპის სახელით. კანონიზაციისათვის საჭირო მეორე სასწაული დაამტკიცა პაპმა ფრანცისკემ, 2025 წლის 27 იანვარს. ხოლო ამავე წლის 19 ოქტომბერს პაპმა ლეონ XIV-მ ვინჩენცა მარია პოლონი წმიდანად შერაცხა და გულმოწყალების დების მფარველად გამოაცხადა. მისი მოხსენიების დღეა 11 ნოემბერი.

მოამზადა ვერიკო ნოზაძემ

მანუჩარ კაჭკაჭიშვილი და აღმოსავლური წესის კათოლიკური დიპლომატია ერეკლე II-ის ეპოქაში

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივ და დინამიკურ პერიოდად მიიჩნევა. სწორედ ამ ეპოქაში იკვეთება პოლიტიკური მრავალწახნაგოვნება, სადაც ურთიერთქმედებდნენ **კავკასიური, ოსმალური, სპარსული, რუსული და ევროპული ინტერესები**. ამ რთულ გარემოში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **ერეკლე II-ის ურთიერთობა დასავლურ, კათოლიკურ სამყაროსთან,** რაც დღემდე შეფასების საგნად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II ჰგონიათ რუსული ორიენტაციის მომხრე, ფაქტობრივად, მისი პოლიტიკური ხედვა გაცილებით ფართო იყო - იგი ცდილობდა საქართველოს გამყარებას დასავლურ ცივილიზაციურ ღერძზე და ამ კონტექსტში აქტიურად ურთიერთობდა აღმოსავლური წესის კათოლიკე წრეებთანაც. ერეკლე II აღიზარდა შაჰის კარზე, სადაც ახლოს გაეცნო დასავლელ მისიონერებსა და კათოლიკე იერარქებს. ამ გარემომ მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა: მეფე პატივისცემით ეკიდებოდა კათოლიკურ კულტურას, განათლებასა და დიპლომატიას. ამას თან სდევდა ახლო ურთიერთობა მის ბიძაშვილ - **ანტონ I კათალიკოსთან**, რომელიც მკვეთრად კათოლიკური ორიენტაციის მქონე სასულიერო მოღვაწე იყო (როგორც ცნობილია, ანტონი კათოლიკედ გარდაიცვალა), რაც ნათლად აჩვენებს იმ ინტელექტუალურ და სულიერ ტრაექტორიას, რომელიც იმდროინდელ ქართულ ელიტას ახასიათებდა.

ამ ეპოქაში ჩნდება **მანუჩარ კაჭკაჭიშვილი**, განათლებული და დიპლომატიურად გამოცდილი პირი, რომელსაც ერეკლე II დაეყრდნო აღმოსავლეთთან ურთიერთობისას. 1780-იან წლებში მეფემ იგი გაგზავნა ეგვიპტეში, როგორც დესპანი, ფორმალურად ბიძის მოსანახულებლად, მაგრამ მისი მისია გაცილებით ღრმა შინაარსის მქონე აღმოჩნდა. ცნობილია, რომ მანუჩარი დაინტერესებული იყო როგორც მამლუქთა ელიტასთან, ასევე იქ მცხოვრებ აღმოსავლეთის წესის კათოლიკე საზოგადოებასთან ურთიერთობით. სირია (ალეპო, დამასკო) და ეგვიპტე იმ დროისათვის წარმოად-

გენდნენ აღმოსავლეთის უდიდეს სავაჭრო და კულტურულ ცენტრებს, სადაც ასპარეზობდნენ სომხური და სხვა აღმოსავლური წესის კათოლიკე ვაჭრები, რომელთაც უკვე დამკვიდრებული ჰქონდათ ევროპული კომერციული სტანდარტები. მათი ქსელი იმდენად მძლავრი იყო, რომ, გარკვეულწილად, ვენეციელ ვაჭრებსაც კი უწევდნენ კონკურენციას.

ერეკლე II-ის ხედვა ამ კონტექსტში უფრო ფართო იყო, ვიდრე მხოლოდ დიპლომატიური დესპანობა: იგი ცდილობდა ურთიერთობა დაემყარებინა ეგვიპტესა და რუსეთს შორის თურქეთის საწინააღმდეგოდ, რაც საქართველოში ძალთა ბალანსის ცვლილებას მოასწავებდა. თუმცა, როგორც ჩანაწერებში ჩანს, მანუჩარ კაჭკაჭიშვილმა თავისი მისიის ნაწილი განახორციელა **რუსეთის კონსულის, ბარონ ტონუსის გვერდის ავლით** - ფაქტი, რომელმაც უკმაყოფილება გამოიწვია პეტერბურგის წარმომადგენლობაში. ტონუსმა აღნიშნა, რომ მანუჩარი დამოუკიდებლად ხვდებოდა მამლუქთა ხელმძღვანელებს, მათ შორის **იბრაჰიმ შინჯიკაშვილს**, და აგრეთვე თანამშრომლობდა აღმოსავლური წესის კათოლიკე ვაჭრებთან, რაც რუსულ ინტერესებთან შეუთანხმებლობად მიიჩნიეს. ამის გამო ტონუსმა იგი შინაპატიმრობით დასაჯა, რაც იმდროინდელი პოლიტიკური დაძაბულობის სიმბოლური გამოხატულებაა: ერეკლეს მცდელობა საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო დიპლომატიის ჩამოყალიბებისა ეწინააღმდეგებოდა იმპერიული რუსეთის მზარდ გავლენას. მანუჩარისა და იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ურთიერთობას კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი ავსებს: გადმოცემის მიხედვით, იბრაჰიმ შინჯიკაშვილმა მას თანხა გაატანა და სთხოვა, საქართველოში, მარტყოფში, აეგო ეკლესია მისთვის საყვარელი და უკვე მხცოვანი დედისათვის, რომელსაც შორეულ, მაღალ მთაზე მდებარე ეკლესიაში სალოცავად ასვლა უჭირდა. ეკლესია მართლაც აიგო, რაც მანუჩარსა და იბრაჰიმს შორის არა მხოლოდ მეგობრულ, არამედ სულიერ კავშირზეც მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ იბრაჰიმ შინჯიკაშვილის მეთაურობით მამლუქები პირამიდებთან შეებრძოლნენ ნაპოლეონის ფრანგულ არმიას, თუმცა ბრძოლა მამლუქთა დამარცხებით დასრულდა.

ამრიგად, მანუჩარ კაჭკაჭიშვილი წარმოგვიდგება როგორც განათლებული და დასავლური კულტურისადმი ღია ქართველი მოღვაწე, რომლის დიპლომატიური ქმედება აჩვენებს საქართველოს ინტელექტუალური ელიტის მცდელობას - ევროპულ სამყაროსთან უშუალო კავშირით გაემყარებინა საკუთარი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. მისი ბიოგრაფია ცხადყოფს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში უკვე არსებობდა დასავლური კულტურისადმი გახსნილი ელიტური ფენა - გამდიდრებული აღმოსავლური წესის კათოლიკე წრეებით, რომელსაც სურდა საქართველოს საერთო კომუნიკაციაში ჩართვა არა რუსეთის გავლით, არამედ პირდაპირი დასავლური ხაზით. ამ კონტექსტში, მანუჩარ კაჭკაჭიშვილი გვევლინება, როგორც იმ მოღვაწეთაგანი, რომელიც განასახიერებდა საქართველოს ევროპული ორიენტაციის ნაადრევ, მაგრამ მყარ საძირკველს - ერეკლე II-ის დროინდელი პოლიტიკურ-კულტურული ხედვის ერთგულ გამოხატულებას.

მოამზადა ნინო კაჭკაჭიშვილმა

„სიცოცხლე საჩუქარია“

„თბილ მოკითხვას გიგზავნით ცივი ვაშინგტონიდან, კოლუმბიის ოლქიდან! გთხოვთ, შემოგვიერთდეთ ლოცვაში ყველა მათთვის, ვინც ამ პარასკევს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში სიცოცხლისათვის მარშს გამართავს. როდესაც ამაზე ვფიქრობთ, გვჯერა, ყველა ადამიანი აცნობიერებს, რომ ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს მოუწოდა სიცოცხლის სიწმინდის უფრო ღრმა პატივისცემისაკენ. მოდით, ავაშენოთ ერთმანეთი! (შდრ. ეფეს. 4,13). გთხოვთ, შემოგვიერთდეთ ამ ვირტუალურ ღონისძიებაზე სიცოცხლის მომხრე ლიდერებთან ერთად“, - ეს წერილი მიიღო ინერ ჯორჯიას ცენტრმა ა.წ. 22 იანვარს „ამერიკის ეპისკოპოსთა კონფერენციის“ საგრანტო მიმართულების ოფიცრის, ჯენიფერ ჰილისაგან (Jennifer Healy). ხოლო 23 იანვარს, ვაშინგტონში, კოლუმბიის ფედერალურ ოლქში, ასი ათასი ადამიანი მიაბიჯებდა და ხმას იმაღლებდა ჯერარშობილთა სიცოცხლის უფლებისათვის! ,,სიცოცხლე საჩუქარია“ - ასეთი იყო სლოგანი წლევანდელი 53-ე სიცოცხლის მარშისა, რომელსაც ჩვენი ლოცვებით შევუერთდით. პაპმა ლეონ XIV-მ „სიცოცხლისათვის მარშის“ მონაწილეებს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც მათ მოუწოდა, „განაგრძონ ძალისხმევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანის ცხოვრება მის ყველა ეტაპზე პატივისცემით იყოს დაფასებული“.

„სიცოცხლის მარში“ პირველად 1974 წლის იანვარში გაიმართა, რომელიც მიმართული იყო შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ აბორტის ლეგალიზაციის წინააღმდეგ, რასაც საფუძვლად დაედო საქმე „როუ ვეიდის წინააღმდეგ“ (Roe v. Wade), რომელიც 2022 წლის 24 ივნისს სასამართლომ გააუქმა საქმით: „დობსი ჯექსონის წინააღმდეგ ქალთა ჯანმრთელობის ორგანიზაცია“ (Dobbs v. Jackson), რამაც შტატებს მეტი თავისუფლება მისცა სიცოცხლის დამცველი კანონების ასამოქმედებლად. მარშზე გამოვიდნენ ვიცეპრეზიდენტი ჯეი დი ვენსი, წარმომადგენელთა პალატის სპიკერი მაიკ ჯონსონი, რესპუბლიკელი კრის სმიტი და „სიცოცხლისათვის მარშის“ პრეზიდენტი ჯენი ბრედლი ლიხტერი.

ეს აქტივობა განსკუთრებით ძვირფასია ინერ ჯორჯიას ცენტრისათვის, რომელიც წლების განმავლობაში უწევდა ორგანიზებას საქართველოში სიცოცხლის მარშის გამართვას, ადამიანის ფუნდამენტური უფლების, სიცოცხლის უფლების მიმართ საზოგადოებაში მეტი მგრძნობელობის მიზნით. სიცოცხლის უფლება ახლად ჩასახულს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ საშვილოსნოში უსაფრთხოდ იყოს პირველ ამოსუნთქვამდე, იხილოს მზის შუქი და მშობლების ბედნიერი სახე. აბორტი (და არა რომელიმე დაავადება ან ომი!) ის რეალობაა, რომელმაც 2024 წელს მსოფლიოში სამოცდაცამეტი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ჯანმოს მონაცემებით, ეს წარმოუდგენლად დიდი რიცხვია. დღეს უკვე სიცოცხლის მარშის ფოკუსი შეიცვალა. „მარშის მიზანია არა მხოლოდ კანონების შეცვლა შტატისა და ფედერალურ დონეზე, არამედ კულტურის შეცვლა, ისე რომ, საბოლოოდ აბორტი წარმოუდგენელი გახდეს“, - ნათქვამია მარშის ოფიციალურ ვებგვერდზე. Pro Life-ს საქმიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე აბორტის საწინააღმდეგოდ მიმართული აქტივობები, საჭიროების შემთხვევაში, ადამიანების დახმარება, რაც მოიცავს ჯანდაცვას, კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელს, მოხალისეობას საავადმყოფოებში. მოქმედება სიტყვებზე უფრო ხმამაღლა მეტყველებს... ეს, უბრალოდ, მარშირებაზე მეტს ნიშნავს“, - განაცხადა მარშის ერთ-ერთმა მონაწილემ.

Iner Georgia

ფასდაუდებელი მხარდაჭერა

მაიკოს ცხოვრება რამდენიმე წლის წინ სრულიად შეიცვალა. ,,ბავშვობიდან არ მქონდა სტაბილური ოჯახი და ჩვეულებრივი საცხოვრებელი პირობები, - გვიამბობს იგი, - ჩემს ცხოვრებაში იყო მხოლოდ დედა, რომელსაც სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა. გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, 14 წლამდე სკოლაში ვერ დავდიოდი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდოდა სწავლა.

საკუთარი სახლი არ გვქონდა, საწყობში ვცხოვრობდით. სწორედ სწავლის ძლიერმა სურვილმა მიბიძგა, თავად დამეწყო გამოსავლის ძიება. მოზარდობის ასაკში მივმართე სოციალური დაცვის სამსახურს და დავიწყე ბრძოლა განათლებისა და ნორმალური ცხოვრების პირობების უფლებისათვის. ამავე პერიოდში, საწყობი, სადაც ვცხოვრობდით, დაიწვა და ასე მოვხვდი სახელმწიფო ზრუნვის პროგრამაში.

15 წლიდან აქტიურად ვმონაწილეობდი სხვადასხვა მოხალისეობრივ საქმიანობაში, ძირითადად, სოციალური დაცვის მიმართულებით. ეს ჩემთვის იყო არა მხოლოდ სხვების დახმარება, არამედ გზა საკუთარი თავის ჩამოსაყალიბებლად. ჩემი შრომის გამო ორჯერ დამასახელეს წლის საუკეთესო მოხალისედ. მოგვიანებით, კარიტასში შემომთავაზეს სამსახური საწყობის ადმინისტრატორად, ხოლო ერთი წლის შემდეგ პარალელურად დავიწყე მუშაობა პროექტის ტექნიკურ ასისტენტად.

ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა „მარტივი დასაწყისი“ და წინასწარ გაკვალული გზა, თუმცა მქონდა ფასდაუდებელი მხარდაჭერა. საქველმოქმედო ფონდმა კარიტასმა მომცა უსაფრთხო გარემო, განათლების მიღების შესაძლებლობა და რწმენა, რომ ჩემი ცხოვრების შეცვლა შესაძლებელი იყო. ყველაფერი, რაც დღეს მაქვს, არის ჩემი შრომის, მიღებული შესაძლებლობებისა და იმ ადამიანების მხარდაჭერის შედეგი, რომლებმაც რთულ დროს ხელი გამომიწოდეს“.

ეს ამბავი არის არა სიბრალულის, არამედ მორიგი წარმატებისა და წინსვლის შესახებ, მაშინაც კი, როცა თითქოს აღარ ჩანს გზა, საიდანაც შეიძლება დაიწყო.

მოამზადა მარიამ ლობჟანიძემ

მამა ათანასე

ქართული წერილობითი კულტურის მკვლევარი, ბენედიქტელი ბერი, საეკლესიო ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, არმენოლოგი და მთარგმნელი, მამა ათანასე, იგივე მეცნიერი შარლ რენუ, 100 წლის ასაკში გარდაიცვალა. ,,მან თავი მიუძღვნა სომხური და ქართული ლიტურგიკული ხელნაწერების შესწავლასა და თარგმნას", - წერია საბატოს გამოსათხოვარ სიტყვაში. მეცნიერი ათეული წლის განმავლობაში თანამშრომლობდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან.

შარლ რენუ დაიბადა 1925 წლის 30 აპრილს, ბუინში, ვანდეაში. 1948 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შევიდა ენ-კალკატის (ტარნი) ბენედიქტელთა მონასტერში. იქ მან მიიღო ათანასეს სახელი (ფრანგ. Athanase), რომლითაც აქვეყნებდა პირველ პუბლიკაციებს. ენ-კალკატში და ტულუზის კათოლიკურ ინსტიტუტში იგი გაეცნო სირიულ, სომხურ და ქართულ კვლევებს. 1956 წლიდან 1958 წლამდე პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტსა და სორბონის Hautes-Études de la Sorbonne-ში იგი სწავლობდა აღმოსავლურ ქრისტიანობას ისტორიულ, ბიბლიურ, პატრისტიკულ და, უპირველეს ყოვლისა, ლიტურგიკულ სფეროებში.

მამა ათანასემ პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში ჩააბარა დიპლომები სირიულ, სომხურ და ქართულ ენებში და დაიცვა დოქტორის წოდება ლიტურგიკის კათედრაზე იერუსალიმის ლექციონის სომხურ ვერსიაზე (გამოცემა, ფრანგული თარგმანი და კომენტარები); შემდეგ მან მიიღო Hautes-Etudes-ის დიპლომი „ეფრემ ასურის ჰომილია ნიკომედის" გამოცემისათვის (სირიული ფრაგმენტები, სომხური ტექსტი და ფრანგული თარგმანი).

1965 წელს შარლ რენუ ჩაირიცხა სამეცნიერო კვლევების ეროვნულ ცენტრში და დაამთავრა 1990 წელს მე-2 კლასის კვლევითი დირექტორის ხარისხით. მამა ათანასე მუშაობდა ქართული ლექციონარის ტექსტზე, ქართული ჰიმნოგრაფიისა და საეკლესიო ისტორიის საკითხებზე. 2008 წელს ,,Patrologia Orientalis"-ში („პატროლოგია ორიენტალის") 50-ე ტომად გამოსცა ქართული ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია.

Catholic.ge

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

მარტი

19	წმ. იოსების დიდდღესასწაული, არლის საკრებულოს დღეობა
20 22	სულიერი წრთვნანი საეროთათვის წეროვანში
25	უფლის ხარება, ქიათურის საკრებულოს დღეობა
26	მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)
29	ბზობა

,,ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო და პარტნიორებო,

დიდი პატივია და პასუხისმგებლობა ჩემთვის, რომ დღეს ვდგავარ თქვენს წინაშე კარიტასის დირექტორის რანგში. მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ გზაზე ნდობა გამომიცხადა და მხარში დამიდგა. მინდა გაგიზიაროთ, რომ კარიტასი ჩემთვის უცხო არ არის - 10 წელი ვიყავი ბორდის წევრი და ამ პერიოდში საკუთარი თვალით ვნახე, რამდენი სიკეთე კეთდება ყოველდღიურად. ეს გამოცდილება მაძლევს კიდევ უფრო დიდ მოტივაციას, რომ დირექტორის რანგში მაქსიმალურად ერთგულად ვემსახურო ჩვენს საერთო საქმეს.

კარიტასი ჩემთვის მხოლოდ ორგანიზაცია არ არის — ეს არის სიყვარული ქმედებაში, სოლიდარობა ადამიანებთან და მსახურება მათთვის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა. ჩვენი მისია ყოველთვის იყო და იქნება ადამიანური ღირსების დაცვა, თანაგრძნობა და დახმარება ყოველგვარი განსხვავების გარეშე. მჯერა, რომ ერთად, ერთიანი ძალებით, პროფესიონალიზმითა და გულწრფელი ზრუნვით შევძლებთ კარიტასის საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერებას, ახალი ინიციატივების განხორციელებას და იმ ადამიანებისთვის იმედის მიცემას, ვინც დღეს რთულ ვითარებაშია.

მადლობა თითოეულ თქვენგანს ყოველდღიური შრომისთვის, ერთგულებისთვის და იმ სიკეთისთვის, რასაც აკეთებთ. ვიმედოვნებ, ჩვენი თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი, გამჭვირვალე და ადამიანებზე ორიენტირებული. ღმერთმა დაგვლოცოს ჩვენს საერთო საქმეში".

ვოიჩეხ მუხაჭიშვილი
საქართველოს კარიტასის დირექტორი

სარჩევი

რედაქტორის გვერდი .. 2-3
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 4-5
ჩვენი ეკლესია..... 6
კათოლიკური პასუხი..... 7
ბიბლიური გვერდი..... 8-9
გზა კათოლიკე ეკლესიისაკენ..... 10-11
ჩანართი:.....I-IV
ახალი წმიდანები 12-13
ისტორიის ფურცლები 14-15
სოციალური გვერდი - Iner Georgia 16
ოციალური გვერდი - Caritas Georgia 17
ინფორმაცია..... 18-19